



COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES

არაოფიციალური თარგმანი

ბრიუსელი 3 აპრილი, 2008

SEC (2008) 393

ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტი

დოკუმენტი თან ერთვის ევროკომისიის კომუნიკაციას ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტისათვის

‘ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2007 წელს’

შუალედური ანგარიში საქართველოს შესახებ

{COM(2008) 164}
{SEC(2008) 391}
{SEC(2008) 392}
{SEC(2008) 394}
{SEC(2008) 395}
{SEC(2008) 396}
{SEC(2008) 397}
{SEC(2008) 398}
{SEC(2008) 399}
{SEC(2008) 400}
{SEC(2008) 401}
{SEC(2008) 402}
{SEC(2008) 403}

1. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და ზოგადი შეფასება

პირველი შეთანხმება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სახელშეკრულებო ურთიერთობებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არის „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.“ შეთანხმებას 1996 წელს მოეწერა ხელი, 1999 წელს კი ის ძალაში შევიდა. ამ დოკუმენტის საფუძველზე, 2006 წლის ნოემბერში, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში შემუშავდა და ხუთი წლის ვადით მიღებულ იქნა „ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმა“. გეგმის მიღებიდან დღემდე მისი განხორციელება და მონიტორინგი სპეციალური მექანიზმის გამოყენებით მიმდინარეობს. ეს მექანიზმი ყოველწლიურად აწესებს პრიორიტეტების ნუსხას და მათი შესრულების ვადებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებულ მთავარ სფეროებში.

ინტენსიურმა ინსტიტუციურმა თანამშრომლობამ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის საბჭოს, თანამშრომლობის კომიტეტის, საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის და ვაჭრობის, ეკონომიკის და სამართლებრივი საკითხების ქვეკომიტეტის საშუალებით, შესაძლებლობა მისცა ორივე მხარეს, უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით“ და „სამოქმედო გეგმით“ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ შედეგების შესახებ, რომლებიც „სამოქმედო გეგმის“ განხორციელებისას იქნა მიღწეული 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე. აგრეთვე, ინფორმაცია საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, 2008 წლის იანვარში ჩატარდა. დოკუმენტში განხილულია ის მოვლენებიც, რომლებიც გასცდა საანგარიშო პერიოდს, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რომ მათი განხილვა საჭიროდ ჩაითვალა. წინამდებარე ანგარიში არ უნდა იქნას განხილული, როგორც საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა.

ზოგადად, 2007 წელს საქართველომ წარმატებას მიაღწია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ რამოდენიმე სფეროში. „ვარდების რევოლუციის შემდეგ“ საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ამბიციურ გეგმას ახორციელებს. მიუხედავად ამისა, სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველ წელს მოხდა სამოქმედო გეგმის განხორციელების სტრატეგიის, ასევე, პასუხისმგებლობების ნათლად განსაზღვრის, ბიუჯეტისა და ვადების დაგვიანებით შემუშავება. ამასთან, სამოქმედო გეგმის განხორციელებისას გამოვლინდა, რომ მეტად რთულია შეჯერება ხელისუფლების მიერ ეკონომიკის რეგულირებაში მთავრობის როლის რადიკალურად შესუსტების მცდელობისა ევროკავშირის მიერ რეგულირების მხარდაჭერასთან; ევროკავშირის ეს მიდგომა სამოქმედო გეგმაშიცაა ასახული.

საგრძნობი წარმატება იქნა მიღწეული სასამართლო სისტემის რეფორმირების, სახელმწიფო შემოსავლების გაუმჯობესების და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობაში სასამართლოს და კანონის უზენაესობის მიმართ ნდობის ასამაღლებლად, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებულობა და სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება ის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია, რომლებიც სასწრაფოდ გადაჭრას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, 2008 წელი გადამწყვეტი იქნება 2007 წელს შეტანილი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისათვის. წარმატება იქნა მიღწეული, აგრეთვე, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების, პროფესიული მომზადების და განათლების სფეროებში. საქართველო არაერთხელ შეუერთდა ევროკავშირის მიერ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში გაკეთებულ განცხადებებს და აქტიურად მონაწილეობს რაგიონული თანამშრომლობის პროექტებში. რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა დემოკრატიის, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების სფეროებში. თუმცა, საანგარიშო პერიოდის დასრულებისას მომხდარმა მოვლენებმა აჩვენა, რომ აუცილებელია კანონის მოთხოვნების ზუსტი დაცვა. 2007 წლის ნოემბერში საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამ გამოავლინა პრობლემები, რომლებიც 2008 წლის მაისში დაგეგმილი არჩევნების გათვალისწინებით, სწრაფად გადაწყვეტას საჭიროებს.

2007 წელს ეკონომიკური ზრდა მაღალი იყო, მიუხედავად იმ ძლიერი გარე დარტყმებისა, რომლებიც ენერგეტიკის და სურსათის სფეროში ფასების პერიოდულმა ზრდამ გამოიწვია. 2007 წელს, საქართველომ მნიშვნელოვანი სავაჭრო და საინვესტიციო რეფორმები განახორციელა. გაძლიერდა ინვესტორთა დაცვის მექანიზმი, გამარტივდა საგადასახადო კოდექსი და ნებართვების გაცემისა და რეგისტრაციის პროცედურები.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა

დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

ზემოხსენებულ სფეროში დასახული მიზნები შემდეგია: კანონის უზენაესობის განმტკიცება, კერძოდ, სასამართლო სისტემის (პენიტენციური სისტემის ჩათვლით) და სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების გზით. ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დამცველი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად; კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება.

საქართველოში არის ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა. ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ძალაუფლება სუსტადაა გადანაწილებული, ხოლო

დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ბალანსი სხვადასხვა ინტიტუტს შორის არაეფექტურია. 2004 წელს ვენეციის კომისიამ რეკომენდაცია გაუწია საქართველოს ხელისუფლებას, აღმოეფხვრა ეს ხარვეზი, თუმცა სასურველი შედეგი ჯერ არ არის მიღწეული.

საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომელთა საფუძველზეც დადგინდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი – 2008 წლის შემოდგომა (და ამით გახანგრძლივდა არსებული საკანონმდებლო ბაზა 6 თვით), 2007 წლის ნოემბერში სამოქალაქო მღელვარება გამოიწვია. გაისმა მოწოდებები, რომ მომხდარიყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების პატივისცემა და საპარლამენტო სისტემის შემოღება. დემონსტრაციების დროს გამოიკვეთა მზარდი სოციალური და ეკონომიკური დამაბულობა ქართულ საზოგადოებაში. სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადამეტებამ, დამოუკიდებელი სატელევიზიო არხის „იმედის“ დარბევამ და საგანგებო მდგომარეობის დაწესებამ სერიოზული შემფოთება გამოიწვია.

ხელისუფლებამ გააუქმა ადრე დაწესებული საგანგებო მდგომარეობა და დაეთანხმა ოპოზიციის ზოგიერთ მოთხოვნას, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების გამართვას საპარლამენტო არჩევნების ვადასთან დაკავშირებით, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების შეყვანას ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში, საარჩევნო ბარიერის დაწევას და პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა იმ მინიმალური ვადის გათვალისწინებით, რომელსაც კანონი აწესებდა (45 დღე), თუმცა რეალურად ეს ვადა არ აღმოჩნდა საკმარისი ოპოზიციური პარტიებისათვის არჩევნებისათვის მოსამზადებლად.

2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ ჩატარდა. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ, რომელიც შედგებოდა დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებისაგან, განაცხადა, რომ საქართველოში ჩატარდა პირველი, მართლაც კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა შენიშნა, რომ არჩევნებს თან ახლდა სერიოზული დარღვევები. დარღვევებად მიჩნეული იყო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად, კანდიდატების არათანაბრად გაშუქება მედიაში, ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევები, არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცედურის არასაკმარისად ნათელი და დეტალური განმარტება და დარღვევები ხმის დათვლის და მონაცემთა შეჯამების პროცესში. 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებისას ეს სერიოზულ დარღვევები უნდა აღმოეფხვრას. საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის გაიმართა დიალოგი საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის და ძირითად ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით.

საქართველოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. ეს შესაძლებელი გახდა სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის განხორციელების აგრეთვე, უმცირესობათა ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში გზებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საშუალებით. შეიქმნა სახელმწიფო ადმინისტრირების ინტიტუტი, სადაც უმცირესობათა წარმომადგენლები გაივლიან მომზადებას. არავითარი წინსვლა არ აღინიშნება „რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიასთან“ საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით.

2007 წელს თბილისში ახალი საპრობილე გაიხსნა. მოხდა, აგრეთვე, საპრობილეების რეკონსტრუქცია, რათა აღმოფხვრილიყო საკნების გადატვირულობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები და მომხდარიყო საპატიმროში არსებული პირობების გაუმჯობესება. მიუხედავად ამისა, პატიმრების რაოდენობის მუდმივმა ზრდა, რაც დანაშაულის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობითა“ გამოწვეული, სასწრაფო ზომების გატარებას მოითხოვს; გამოყენებული უნდა იქნას სასჯელის ალტერნატიული ზომები ნაცვლად წინასწარი პატიმრობისა, ასევე გამოყენებული უნდა იქნას პატიმრობის ალტერნატიული გზები და დაინერგოს პრობაცია და პირობითი სასჯელი იმ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომლებიც ევროპის საბჭოს „წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა“ შეიმუშავა. 2007 წლის დეკემბერში დამტკიცდა საპრობილის ადმინისტრაციის ქცევის კოდექსი.

გამჭვირვალობის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ნება დართო „წამების საწინააღმდეგო კომიტეტს“, 2007 წლის ოქტომბერში, გამოექვეყნებინა ანგარიში საქართველოს შესახებ. კომიტეტმა დაადასტურა ის საგრძნობი წარმატება, რომელიც მიღწეულ იქნა პოლიციის განყოფილებებში წინასწარი დაკავებისას წამების და ცუდი მოპყრობის პრევენციის საქმეში, დაკავებულთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების, ახალი თანამშრომლების აყვანის, სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა მომზადების და მოკვლევისთვის აუცილებელი თანამედროვე ტექნიკის შესყიდვის გზით. მოხდა დაკავების ადგილების გარე უწყებების მიერ მონიტორინგის გაძლიერება, თუმცა, საჩივრების განხილვა და მათი გამოძიება არ არის დამაკმაყოფილებელი, წამების და ცუდი მოპყრობის მსხვერპლნი კი ხშირ შემთხვევაში არავითარ კომპენსაციას არ იღებენ. ძალის თვითნებურად გამოყენება და ძალის გადამეტება სამართალდამცავი ორგანოების მიერ შემოფოტების საგნად რჩება. შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს გაეროს „წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის განხორციელებას. პრევენციის ეროვნული მექანიზმი, რომელიც 2007 წლის ივნისში უნდა შექმნილიყო, ჯერ კიდევ არ შექმნილა.

2007 წლის დეკემბერში დაიწყო ორწლიანი პროგრამა არასრულწლოვანი პრობაციონერთათვის. მისი მიზანია არასრულწლოვანთა საჭიროებებზე ზრუნვა და მათი დანაშაულებრივი საქციელისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც შეამცირებს დანაშაულის რეციდივს; ასევე, უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, რეაბილიტაციის პროცესში ახალგაზრდებს ჰქონდეთ საშუალება გააგრძელონ თავიანთ ოჯახებში ცხოვრება. 2007 წლის მაისში მიღებული ცვლილებები, რომელთა საფუძველზე მოხდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ასაკის თოთხმეტი წლიდან თორმეტი წლამდე შემცირება გარკვეული ტიპის მძიმე დანაშაულისათვის (ეს ცვლილებები 2008 წლის ივლისში შევა ძალაში), უშუალოდ ეწინააღმდეგება გაეროს რეკომენდაციას, არ მოხდეს მოზარდთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა.

რამოდენიმე კერძო პირმა და კომპანიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში კერძო საკუთრების უფლების დარღვევის გამო. ფაქტები შეეხებოდა ქონების კონფისკაციას ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე ან კერძო მშენებლობის გამო.

გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისიის მანდატი 2007 წლის სექტემბერში განახლდა, რის შემდეგაც კომისიამ მიიღო 2007-2009 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა. გეგმა ითვალისწინებს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებას გენდერული თანასწორობის სფეროში. სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით შემუშავებული ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ახალი კანონი, რომელიც 2006 წლის მაისში იქნა მიღებული, ჯერ კიდევ არასათანადოდ სრულდება სასამართლოებში. ოჯახური ძალადობის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა მთავრობამ 2007 წლის ივლისში მიიღო და ის განხორციელების ადრეულ ეტაპზეა. მას შემდეგ, რაც 2007 წელს ამ საკითხებზე სამართალდამცავი სტრუქტურების მომზადება ჩატარდა, გაიზარდა ოჯახური ძალადობისგან დაცვის გადაწყვეტილებების რიცხვი, თუმცა, ოჯახური ძალადობა ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულია.

ვერ მოხერხდა სახალხო დამცველის როლის გაძლიერება. გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და მის საქმიანობას ხელისუფლება არ ითვალისწინებს. 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსანთა მიერ სახალხო დამცველის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ფაქტები არ არის სათანადოდ გამოძიებული.

საგრძნობი წარმატება იქნა მიღწეული სამართლებრივი სისტემის რეფორმირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში, თუმცა სრულად დამოუკიდებელი და ეფექტური სასამართლო სისტემის შექმნა ჯერ კიდევ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. მოხდა სასამართლო სისტემის გარდაქმნა და მისი ევროპულ ქვეყნებში არსებულ სისტემებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე სასამართლოების ტექნიკური აღჭურვა. 2005 წელს მიღებული სისხლის

სამართლის ეროვნული სტრატეგიის განხორციელება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მისი სრული განხორციელება 2010 წლისათვის უნდა დასრულდეს.

სასამართლოს დამოუკიდებლობის გასამდიერებლად, 2007 წლის ივლისში პარლამენტმა მიიღო საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან ურთიერთობის შესახებ კანონი, რაც გულისხმობს მოსამართლესთან *ex-parte* ურთიერთობის რეგულირებას. კანონი ავალებს მოსამართლეებს, შეატყობინონ სასამართლოზე ზეწოლის ნებისმიერი მცდელობის შესახებ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. 2007 წლის ივნისში მოხდა საბჭოს რეფორმირება. ის პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან გამოვიდა და მოხდა მისი სრული ინტეგრირება სასამართლო სისტემაში. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უფლებამოსილია დანიშნოს მოსამართლეები.

შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც ამზადებს მოსამართლეებს. მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს აქვს უფლება გახდეს მოსამართლე. მოხდა სამართლებრივი ეთიკის ნორმების გადახედვა და მათი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს ნორმები 2007 წლის ოქტომბერში მოსამართლეთა კონფერენციაზე მიიღეს. პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა მოამზადა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საერთო სასამართლოების და უზენაესი სასამართლოს გაერთიანებას 2007 წლის ნოემბერში, თუმცა დაგეგმილია კანონპროექტი შემდგომი განხილვა.

საერთაშორისო სტანდარტების დასამკვიდრებლად საჭირო იქნება ობიექტური კრიტერიუმების დადგენა მოსამართლეების დანიშვნისა და დისციპლინარული დევნისათვის. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და დაიხვეწოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

იმისათვის, რომ სასამართლო და სამართლებრივი დახმარება ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, 2007 წლის ივნისში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით მიღებულ იქნა კანონი, თუმცა, საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის ამ კანონის არსებობის შესახებ. ამიტომ, ყურადღება უნდა მიექცეს მის პოპულარიზებას, რათა მოქალაქეებმა უკეთ გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული უფლებები. 2007 წლის ბოლოსათვის ბევრ რეგიონში გაიხსნა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული სამსახურები.

სახელმწიფო სამსახურის ფართომასშტაბიანი რეფორმა ჯერ არ დაწყებულა. ცვლილებები შემოიფარგლება მხოლოდ რაციონალიზაციით, სხვადასხვა სამსახურების და უწყებების შერწყმით თუ გაუქმებით. 2007 წლის ბოლოსათვის მომზადდა და პარლამენტს გადაეცა კანონპროექტი სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ერთიანი სახელმწიფო სამსახურის შექმნას. კანონპროექტის განხილვა ჯერ არ დაწყებულა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო მოხელეების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა გაუმჯობესდეს სახელმწიფო სამსახურის ხარისხი.

კორუფციასთან ბრძოლის მიზნით 2007 წლის მაისში, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის შედეგად, მთავრობამ მიიღო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ახალი სამოქმედო გეგმა. გეგმაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობაზე, კანონის აღსრულების სისტემის შექმნაზე და შესაბამისი კანონმდებლობის და საერთაშორისო ნორმების ჰარმონიზებაზე. ანტიკორუფციული სტრატეგია მოიცავს შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებს: კორუფციისაგან თავისუფალი სახელმწიფო და კერძო სექტორის ხელშეწყობა, სასამართლო სისტემის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება და ანტიკორუფციული კანონმდებლობის გაძლიერება. თუმცა, სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული მისი განხორციელების ზუსტი ვადები. საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის რატიფიცირება, თუმცა პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. კონკრეტული ზომები იქნა მიღებული უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ, შეიცვალა და უფრო გამჭვირვალე გახდა მისაღები გამოცდების ჩაბარების მექანიზმი. 2007 წლის ნოემბერში „კორუფციის წინააღმდეგ მოქმედმა სახელმწიფოების ჯგუფმა“ (GRECO) დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებული ნაბიჯები გადადგა კორუფციასთან ბრძოლაში. უფრო დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოება უფრო აქტიურად ჩაერთოს რეფორმების ფორმულირებასა და მათ განხორციელებაში. სახელმწიფო სექტორში კორუფცია კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება.

ევროპის საბჭოსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად, **ადგილობრივი მმართველობასთან** დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო გაუმჯობესდა. უკეთესი თვითმმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, 2007 წლის იანვარში შემუშავდა დეცენტრალიზაციის ეროვნული სტრატეგიის პროექტი და ეროვნული სამუშაო პროგრამის პროექტი, თუმცა მთავრობას ჯერ ისინი არ მიუღია. 2007 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო კანონი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ. 2007 წლის მეორე ნახევარში შემუშავდა კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესებას, მოქალაქეების უფრო მეტად მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, აგრეთვე, და თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული თანხების პროპორციულად განაწილების ფორმულის მოდიფიცირებას.

მიუხედავად ამ საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის მცდელობისა, რეალურად არ მომხდარა ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების რეალური გაზრდა. მთავრობა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების მკაცრ კონტროლს ახორციელებს. ძალზე უმნიშვნელოა მისი მცდელობა, გააუმჯობესოს ადმინისტრაციული და დაგეგმვის უნარი ადგილებზე.

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2007 წლის ივნისიდან საქართველოს მიეცა შესაძლებლობა შეუერთდეს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში გაკეთებულ ყოველ კონკრეტულ განცხადებას. საქართველო რეგულარულად იყენებს ამ შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გათვალისწინებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი და რატიფიცირებული. როგორც ცნობილია, იმუნიტეტის შესახებ ორმხრივი შეთანხმება საქართველოსა და აშშ-ს შორის ჯერ კიდევ ძალაშია.

წარმატებული თანამშრომლობა მიმდინარეობს საქართველოს, ევროკავშირს და სხვა საერთაშორისო სუბიექტებს შორის საზღვრის მართვის და საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის შემუშავების სფეროში; ეს კი იმის მანიშნებელია, რომ საქართველო სერიოზულად ეკიდება მასობრივი განადგურების იარაღის და იარაღის უკანანონო ექსპორტის საკითხებს. საქართველო, აგრეთვე თანამშრომლობს აშშ-თან ბიოტერორიზმის საფრხის შემცირების და ბირთვული ნარჩენების და ტექნიკის უსაფრთხოების საკითხებზე.

რეგიონული თანამშრომლობა

2007 წლის მაისში საქართველო, აზერბაიჯანთან, ლიტვასთან და უკრაინასთან ერთად, მონაწილეობდა პოლონეთის მიერ ორგანიზებულ სახელმწიფო მეთაურთა სამიტში, რომლის მიზანი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაძლიერება – ენერგეტიკის ჩათვლით – შავ ზღვას, ბალიტიის ზღვასა და კასპიის რეგიონს შორის. ხელი მოეწერა ერთობლივ კომუნიკეს ახალი ევროპული ენერგეტიკული დერეფნის შექმნის შესახებ.

საზღვრის ინტეგრირებული მართვის ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გაუმჯობესების მიზნით, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ დახმარების პროგრამის ფარგლებში დაიწყო სამხრეთი კავკასიის საზღვრის მართვის რეგიონული პროექტი 2008–2009 წლებისათვის. 2007 წლის ოქტომბერში ბრიუსელში გამართულ მინისტრთა შეხვედრისას, პროექტში მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ განახორციელებდნენ ღონისძიებებს ორმხრივ დონეზე. (აზერბაიჯანი–საქართველო და საქართველო–სომხეთი).

საქართველო (სომხეთთან, აზერბაიჯანთან და ევროკომისიასთან ერთად), არის თანადამფუძნებელი და მასპინძელი კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა (REC) (იხ პარაგრაფი გარემოს დაცვის შესახებ). ცენტრი, რომლის შტაბბინა თბილისში მდებარეობს, ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვადასხვა მონაწილე სტრუქტურასა და მხარეს შორის, მეზობელი ქვეყნების ჩათვლით. საქართველომ ხელი მოაწერა ცენტრის ახალ წესდებას.

თანამშრომლობა საქართველოს შიდა კონფლიქტების მოგვარების სფეროში

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ოფიციალურად არ მონაწილეობს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისათვის შექმნილ მექანიზმში, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში“ ჩაიწერა კონფლიქტების მოგვარებაზე მიმართული რამოდენიმე ამოცანა, რათა სტიმული მისცემოდა ევროკავშირის სურვილს, წვლილი შეიტანოს საქართველოს შიდა კონფლიქტების მოგვარებაში. გეგმაში დასახულ პრიორიტეტთაგან ერთ–ერთი ყველზე სასწრაფო იყო 2007 წლის განმავლობაში ნდობის მინიმალური ხარისხის აღდგენა მხარეებს შორის, რათა არ დაწყებულიყო ძალადობის ახალი ტალღა და შეაძლებელი ყოფილიყო სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლება.

ამ მიზნით, 2007 წლის იანვარში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და ევროკომიის ექსპერტებისაგან შემდგარი ერთობლივი მისია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეწვია. მისიამ შეიმუშავა ნდობის აღდგენაზე მიმართული ღონისძიებების მთელი პაკეტი, რომლის მიზანი იყო თბილისსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის *de facto* სეპარატისტულ რეჟიმებს შორის ნდობის გაუმჯობესება. 2007 წლის მარტში ღონისძიებების პაკეტმა ევროკავშირის პოლიტიკის და უსაფრხოების კომიტეტის სრული მხარდაჭერა მოიპოვა, რის შემდეგაც მოხდა მისი განხილვა და შეთანხმება საქართველოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ამ პაკეტის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს გაეროს სადამკვირვებლო მისიასა და ეუთოს მისიაში პოლიციის მრჩევლების გამოგზავნას, ასევე კონფლიქტების მოგვარების სამინისტროში ევროკავშირის მრჩევლის დანიშვნას, 2007 წლის შემოდგომაზე დაიწყო.

ეუთოს ეგიდით მიმდინარე სამხრეთი ოსეთის რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის ძირითადი დამფინანსებელი ევროკავშირია, ნდობის აღდგენის ერთ–ერთი ეფექტური მექანიზმია. მას სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ორივე ეთნიკური ჯგუფისათვის მოაქვს სარგებელი. 2007 წლის განმავლობაში ევროკომისია აგრძელებდა დახმარების გაწევას აფხაზეთში მიმდინარე რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში.

უარყოფითი საერთაშორისო კონტექსტის გამო, წინსვლა კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკურ პროცესში მეტად უმნიშვნელოა. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუარესებამ და სამხედრო და დიპლომატიური ინციდენტების რაოდენობის გაზრდამ ხელი შეუწყო საქართველოს ხელისუფლებასა და სეპარატისტულ რეჟიმებს შორის დამაბულობის ზრდას.

სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩიხიდან გამოსაყვანად, 2007 წელს საქართველომ რამოდენიმე ცალმხრივი ინიციატივა წამოაყენა. ესენია, მაგალითად სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნა (რომელიც ეფექტურად აკონტროლებს სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებს), *de jure* აფხაზეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის შექმნა კოდორის ხეობის (აფხაზეთის

ერთადერთი ტერიტორია, რომელსაც თბილისი აკონტროლებს) ზემო ნაწილში და სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელიც იმსჯელებს იმაზე, თუ რა ტიპის ავტონომია ექნება სეპარატისტულ რეგიონებს მათი საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ. ამ ცალმხრივმა ინიციატივებმა კიდევ უფრო გააღრმავა უნდობლობა მხრეებს შორის და არ მოიტანა სასურველი შედეგები სამშვიდობო პროცესში.

3. თანამშრომლობა სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროებში

მიღებულია გადაწყვეტილება ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროებში მომუშავე ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ.

სამხრეთი კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის ახალი პროგრამა (იხ. რეგიონული თანამშრომლობა) შედგება ტრეინინგის ერთი საერთო კომპონენტისაგან, ორი ორმხრივი თანამშრომლობის (საქართველო–სომხეთი და აზერბაიჯანი–საქართველო) კომპონენტისაგან, და სამი ეროვნული კომპონენტისაგან. საზღვრის ურთიერთთავსებადი, ინტეგრირებული მართვის დანერგვის გზით, პროგრამა ხელს უწყობს საზღვრის მართვის უნარის გაზრდას მთელს რეგიონში. მიმდინარეობს ტრეინინგისათვის აუცილებელი მასალის და ღონისძიებების შემუშავება საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამისათვის (იხ. აგრეთვე პარაგრაფი რეგიონული თანამშრომლობის შესახებ). საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგია 2008 წლის თებერვალში, საანგარიშო პერიოდის გასვლისთანავე დამტკიცდა. მასში გათვალისწინებულია საზღვრის უსაფრთხოების ევროპული ოთხდონიანი სისტემის ყველა ელემენტი. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის რჩევით, საქართველომ შეიმუშავა ახალი კანონები და კანონქვემდებარე აქტები საზღვრის ინტეგრირებული მართვისათვის, რომელიც უწყებათაშორის თანამშრომლობაზე იქნება დამყარებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი 2006 წლის ნოემბრიდან სასაზღვრო პოლიციად გადაკეთდა, სადაც თანამშრომლები მხოლოდ კონტრაქტების საფუძველზე მუშაობენ.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საზღვრის დაცვის უწყებებთან თანამშრომლობა წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა, აუცილებელია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა აზერბაიჯანისა და სომხეთის უწყებებთან. ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობა საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის საკითხებზე მეზობლებთან, გარდა თურქეთისა. საჭიროა უფრო მეტი მუშაობა ამ სფეროში ფრათომასშტაბიანი საგანმანათლებლო და საწვრთნელი სისტემების შესამუშავებლად; უნდა მოხდეს, ასევე, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა სასაზღვრო–გამშვები პუნქტების ეფექტურად მართვის მიზნით.

დღეისათვის, საქართველოს არ აქვს შემუშავებული მიგრაციის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი. მიგრაციის არსებული პოლიტიკა ზედმეტად ლიბერალურია და მის მართვაზე არცერთი სახელმწიფო უწყება არ არის პასუხისმგებელი. ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საქართველოში შემოსვლას არეგულირებს, არ შეესაბამება ევროპულ ნორმებს; აღინიშნება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ვაკუუმი ქვეყანაში შემოსვლასთან დაკავშირებით (მაგალითად ჩვეულებრივი ვიზა გაიცემა ყველა შემომსვლელთათვის, გარდა სწავლის მიზნით შემოსულთათვის; მიუხედავად იმისა რა ხნით გადააცილა მოქალაქემ ვიზით განსაზღვრულ ვადას, ხდება მხოლოდ ჯარიმის გადახდა). ამასთან, არ რეგულირდება როგორც საქართველოში შემოსული, ისე საქართველოდან გასული შრომითი მიგრანტი და ეს შეშფოთების საბაზს იძლევა. 2006 წელს, საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, საქართველომ რატიფიცირება მოახდინა ოქმისა „მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზით არალეგალური შემოსვლის შესახებ“, რომელიც თან ერთვის „გაეროს კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“, თუმცა ამ ოქმის სრულად განხორციელება არ მომხდარა.

საქართველოს ხელმოწერილი აქვს რეადმისიის შესახებ ხელშეკრულება ევროკავშირის სამ ქვეყანასთან. ევროკავშირის ბევრ ქვეყანასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ საკითხზე. ევროკომისიამ დააფინანსა რამოდენიმე პროექტი საქართველოში (პროგრამა „ენეასი“ AENEAS ფარგლებში), რომელიც შეეხებოდა დოკუმენტების უსაფრთხოებას, ქვეყანაში უკან დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას და ინფორმირებულ მიგრაციას.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოებს, საქართველოს საკონსულოებს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, სასაზღვრო პოლიციას და სხვა შესაბამის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა პირადი მონაცემების, სავიზო განაცხადების და ცხოვრების ნებართვების შესახებ არ არის რეგულარული; ამის გამო, არასრულია ინფორმაცია იმ უცხოელების შესახებ, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და იმ ქართველი მოქალაქეების შესახებ, რომლებიც საქართველოს გარეთ ცხოვრობენ. კანონი უცხოელთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ საქართველოში ითვალისწინებდა ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნას 2007 წლის ივლისისათვის, რათა მომხდარიყო მიგრაციული ნაკადების მართვა, თუმცა, ამგვარი მონაცემთა ბანკი ჯერ კიდევ არ არსებობს. აუცილებელია, აგრეთვე, პირადი ინფორმაციის ავტომატური დამუშავების უსაფრთხოების შემდგომი დახვეწა ევროპის საბჭოს იმ კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის რატიფიცირება საქართველომ 2006 წლის აპრილში მოახდინა. ამისათვის აუცილებელია, მაგალითად, მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მიღება. ევროკომისია დახმარებას უწევს იუსტიციის სამინისტროს და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომების გატარებაში. დახმარება იყო გაწეული ბიომეტრიული პასპორტების გასაცემად აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის და სამართლებრივი ნორმების შეფასებაში. ბიომეტრიული პასპორტების გაცემა 2009 წლიდანაა გათვალისწინებული.

საქართველოს მიერ 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის ივლისში მიიღო კანონი, რომელიც ქმნის სამართლებრივ საფუძველს მესხების რეპატრაციის და მათი რეინტეგრაციისათვის. კანონის აღსრულება 2008 უნდა დაიწყო. ამისათვის საჭიროა სამოქმედო გეგმა, რომელიც ჯერ არ შემუშავებულა.

აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან 90-იან წლების კონფლიქტების შედეგად **გადაადგილებულ პირთა** დაცვის საკითხში მიღწეულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 2007 წლის თებერვალში მიღებული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს გადაადგილებულ პირთა სამოქალაქო უფლებების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. მიუხედავად ფართომასშტაბიანი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომელიც გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან თანამშრომლობით ჩატარდა, სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ რის შემუშავებული. ყველაზე უფრო მთავარი პრიორიტეტი გადაადგილებულ პირთა აღრიცხვა და მათი რეგისტრაციაა.

საქართველოში დაიხვეწა, აგრეთვე, **ლტოლვილთა** დაცვის სისტემა. 2007 წლის აპრილში ცვლილებები შევიდა კანონში ლტოლვილთა შესახებ. ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა ახალ კანონპროექტზე. დღეისათვის პანკისის ხეობაში დაახლოებით 1100 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს. 2007 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო დროებითი ცხოვრების უფლების მინიჭება ლტოლვილებისათვის და გასცა დროებითი დოკუმენტები. ეს აადვილებს ლტოლვილთა მონაწილეობას შემოსავალზე ორიენტირებულ საქმიანობაში და აუმჯობესებს მათი ინტეგრაციის პერსპექტივას. იმ ყოველდღიურ დახმარებასთან ერთად, რომელსაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გასცემს, 2007 წლის ბოლომდე ლტოლვილები იღებდნენ სასურსათო დახმარებას „მსოფლიოს სასურსათო პროგრამიდან“ და დახმარებას „გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატიდან“, პირადი ჰიგიენისათვის საჭირო ნივთების, საბაზისო სამედიცინო მომსახურების და პირველადი განათლების სახით. 2008 წლიდან „მსოფლიოს სასურსათო პროგრამის“ არსებული დახმარება შეიცვალა ფულადი დახმარებით, რომელსაც გასცემს „გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატი.“ ეს დახმარება, შემოსავალზე ორიენტირებულ პროექტებთან ერთად, გაზრდის ლტოლვილთა მიერ საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობას და მათ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ბოლო 2 წლის განმავლობაში 1000-ზე მეტი ჩეჩენი, რომელიც ადრე ჩეჩენ ლტოლვილად იყო რეგისტრირებული, საქართველოს მოქალაქედ იქნა აღიარებული და მასზე შესაბამისი დოკუმენტაცია გაიცა.

საქართველო ჯერ კიდევ არ მიერთებია 1954 წლის კონვენციას **სტატუსის არმქონე პირთა შესახებ**. დღევანდელი კანონმდებლობა ჯერ კიდევ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საქართველოს მოქალაქემ შეიძლება დაკარგოს საქართველოს მოქალაქეობა, ამან კი შეიძლება საფრთხე შეუქმნას მესხების დაბრუნებას.

დღეისათვის პანკისის ხეობაში 1 100 ჩეჩენი ლტოლვილია, რომელსაც „გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატი“ ეხმარება კვების პროდუქტებით, ძირითადი სამედიცინო მომსახურებით და პირველადი განათლებით. საქართველოს მთავრობამ 1000 ყოფილ ლტოლვილს უკვე მიანიჭა მოქალაქეობა და შემოიღო ახალი დროებითი რეჟიმი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ, ვინც არ ექვემდებარება საქართველოს მოქალაქეობის მიღებას, მიიღონ ისეთივე დახმარება, როგორსაც ქართველი გადაადგილებული პირები იღებენ.

ადამინთა **ტრეფიკინგის** წინააღმდეგ ბრძოლის 2007–2008 წლების ეროვნული გეგმის ფარგლებში შემუშავდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეინტეგრაციის პროგრამები, რომლებიც მოიცავს მათ რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაზე მიმართულ კონკრეტულ ღონისძიებებს. 2007 წლის ივლისში შემუშავდა ეროვნული სტრატეგია, ხოლო 2007 წლის სექტემბერში გაიხსნა მეორე თავშესაფარი, რომელიც დაფინანსების ხარჯიც შესაბამისად გაიზარდა. საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ქსელი, რომლის მიზანია სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მომზადება კონკრეტული სამიზნე ჯგუფის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2007 წლის თებერვალში შემუშავდა **ნარკოტიკებთან** ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, რომელიც გამიზნული იყო ნარკოტიკების მიწოდების და მოთხოვნის შემცირებასა და ამ სფეროში პროფესიონალთა მომზადებაზე, თუმცა სტრატეგია ჯერ არ არის განხორციელებული. ანტინარკოტიკული პოლიტიკის განხორციელების საბჭომ დაიწყო ეროვნული კანონმდებლობის გადამუშავება, რათა, საერთაშორისო სტანდარტებთან და განსაზღვრებებთან შესაბამისად, შემუშავებულიყო კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ნუსხა. ჯერ კიდევ არასათანადოა ამ სფეროს დაფინანსება; ნარკოტიკის მომხმარებელთა რეაბილიტაცია და მკურნალობა, ისევე, როგორც ნარკოტიკის მომხმარებელთა დაპატიმრება და საპატიმროებში მკურნალობის არარსებობა, შეშფოთების საგნად რჩება. თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან არ არის სისტემატური და საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფო დაფინანსების საშუალებით. ამასთან, რეგიონულ დონეზე საქართველო სრულადაა ჩართული „სამხრეთი კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის“ მეხუთე ფაზაში.

ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, 2007 წლის ივლისში ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპულ და „ფინანსური მოქმედების ჯგუფის“ (FATF) მოთხოვნებთან, ასევე, მომხდარიყო ფულის გათეთრების განსაზღვრება, როგორც დანაშაულისა. ხელმოსაწერად მზადაა სამმხრივი მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას შორის. აუცილებელია, განისაზღვროს და გატარდეს

უფრო ეფექტური ზომები ფულის გათეთრების წინააღმდეგ და მოხდეს უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება და უკეთ კოორდინირება.

საერთაშორისო და რეგიონული სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში „ბავშთა მოტაცების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენციის“ რატიფიცირება საქართველომ 1997 წელს მოახდინა, თუმცა მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ კონვენციის სრულად და ეფექტურად განხორციელებას. აუცილებელია პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავების უსაფრთხოების გაზრდა ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლის რატიფიცირება საქართველომ 2006 წლის აპრილში განახორციელა. გაეროს 2005 წლის კონვენცია „დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ჩამორთმევის და კონფისკაციის შესახებ“ და „ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ჯერ არ არის რატიფიცირებული.

4. ეკონომიკური და სოციალური რეფორმა

მაკროეკონომიკური ჩარჩო და ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა

2007 წლის განმავლობაში გრძელდებოდა წარმატებული ეკონომიკური **ზრდა**, რომელმაც, მიუხედავად რუსეთის მიერ დაწესებული ეკონომიური ემბარგოთი და ენერჯის მოხმარებაზე გაზრდილი ფასებით გამოწვეული ზარალისა, დაახლოებით 12%-ს მიაღწია. 2007 წლის მეორე ნახევარში ინფლაცია გაიზარდა და წლიურ 11%-ს მიაღწია. ინფლაციის ერთნიშნა ციფრზე დასაყვანად 2008 წელს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება იქნება აუცილებელი.

ბოლოდროინდელი ეკონომიკური ზრდა ძირითადად უცხოური კაპიტალის შემოდინების და საფინანსო სექტორის გაფართოების ხარჯზე ხდება. თუკი ადრე პირაპირი უცხოური ინვესტიციები დაკავშირებული იყო პრივატიზებასა თუ ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობასთან, დღეს აღინიშნება ინვეტიციების სხვა სექტორებში დაბანდების ტენდენცია. 2007 წლის განმავლობაში გრძელდებოდა საბანკო სექტორში უცხოური კაპიტალის დაბანდება, რამაც ხელი შეუწყო კრედიტების სისტემის სწრაფად განვითარებას. აუცილებელია ფინანსური სექტორის ზედამხედველობის შემდგომი გაძლიერება, რადგან ის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მზარდი სექტორია.

2006 წელს საქართველოსათვის რუსეთის ბაზრის დახურვის შემდეგ, ექსპორტის ზრდის მიღწევა მხოლოდ შარშან მოხერხდა, როდესაც ის წარმატებით გადანაწილდა სხვა ბაზრებზე. სავაჭრო და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა, თუმცა ეს იმპორტზე დიდი მოთხოვნის ხარჯზე მოხდა. დღეისათვის სავაჭრო დეფიციტი, რომელიც მშპ-ს 16%-ს შეადგენს, კაპიტალური შემოსავლებით ფინანსდება, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მდგრადი საგადამხდელო ბალანსის მისაღწევად, სასურველია საქონლისა და მომსახურების ექსპორტის გაზრდა.

ნომინალური მშპ-ს საგრძნობი ზრდის და გადასახადების მკაცრი ადმინისტრირების შედეგად მოხდა ფისკალური შემოსავლების კარგი შემოდინება. საქართველომ შეიმუშავა ხარჯების საშუალოვადიანი შეფასების ჩარჩო, რომელიც აადვილებს სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკური პრიორიტეტების მიხედვით განაწილებას. 2007 წლის ნოემბერში მოსახლეობის მიერ გამოხატულმა პროტესტმა უკარნახა მთავრობას 2008 წლის ხარჯების პრიორიტეტების გადახედვა, რის შედეგადაც მოხდა ფინანსური რესურსების გაზრდა საპენსიო ხარჯებზე, ხელფასებსა და სოციალური პროგრამებზე. მოსალოდნელია თავდაცვაზე გამოყოფილი საერთო ხარჯების შემცირება 19%-ით. იმ პირობებში, როდესაც ხდება სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო ხარჯების გაკონტროლება, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ მომსახურების გაწევის გაუმჯობესებასა და სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

დასაქმება და სოციალური პოლიტიკა

საქართველომ მოახდინა დასაქმების და შრომითი ურთიერთობების სრული ლიბერალიზება. დღეს ამ სფეროს ერთადერთი მარეგულირებელი შრომის ბაზარია. შრომის ბაზარზე დასაქმებული მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი თვითდასაქმებულებს უკავიათ, რაც სამუშაო ძალის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს. ხანგრძლივად უმუშევართა რიცხვი ბაზარზე სჭარბობს. შრომის ბაზარზე არსებულ რთულ სიტუაციას ამძიმებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის ეფექტური პოლიტიკის არარსებობა და სოციალური უზრუნველყოფის წყვეტილი სისტემა. 2006 წელს მიღებულ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მუშახელზე მოთხოვნასა და მის პროფესიონალიზმს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრას. 2005 წლიდან დასაქმების საკითხებზე პასუხისმგებელია შრომის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, თუმცა დასაქმების სამსახურების ეფექტურობა ძალზე დაბალია, მწირი რესურსების და მართვის მოძველებული სტილის გამო.

შრომის კანონთან და სამუშაო ადგილზე არსებულ უფლებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გაფიცვის შეუზღუდავ უფლებასთან მიმართებაში, წინსვლა არ აღინიშნება. 2006 წლის შრომის კოდექსი, რომელიც პროფკავშირებთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე მომზადდა, არ შეესაბამება „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ სტრანდარტებს. კერძოდ, მასში არ არის ასახული „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებები გაერთიანების თავისუფლების შესახებ და დასაქმებულთა ინტერესების დასაცავად პროფესიული/შრომითი კავშირების მიერ დამსაქმებელთან მოლაპარაკებების წარმოების შესახებ. უფრო მეტიც, შრომის კანონი ეწინააღმდეგება ეროვნული სტანდარტებს და საქართველოს მიერ 2005 წლის ივლისში რატიფიცირებულ „ევროპის სოციალური ქარტიის“ სტრანდარტებს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორცაა ზედმეტი სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობა და სამსახურიდან დათხოვნა. თუკი საქართველოს სურს 2009 წლიდან, კვლავ ისარგებლოს ევროკავშირის „შეღავათების ზოგადი სისტემით“, შრომის კოდექსში შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნას შეტანილი.

სოციალური დიალოგის წარმოების თვალსაზრისით არავითარი წინსვლა არ აღინიშნება.

გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მომზადებული 2007 წლის ანგარიშის მიხედვით, 177 ქვეყნიდან საქართველოს 96-ე ადგილი უკავია. სოციალური გარემო არ შეცვლილა, სიღარიბის შემცირების და სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა; სიღარიბე ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მოსახლეობის ერთი მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას, 2006 წლის დასაწყისიდან, მთავრობამ უმუშევრობის ყველა დახმარება გააუქმა და შემოიღო ერთიანი სოციალური დახმარების პროგრამა ღარიბი ოჯახებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ცნობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებს, ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ მწირია – ქალთა რაოდენობა პარლამენტში მხოლოდ 9,5%-ია (იხ. ნაწილი 2).

მხოლოდ მცირედი წარმატებაა მიღწეული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით“ სოფლის მეურნეობის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულებაში. 2007 წლის ივნისში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფი, ხოლო 2007 წლის ნოემბერში, მსოფლიო ბანკის დახმარებით, გამოცხადდა ტენდერი საშუალოვადიანი სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის შემუშავებაზე. სტრატეგიის პირველი ვარიანტის პროექტი მზად უნდა იყოს 2008 წლის მაისისათვის. 2007 წლის სექტემბერში, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით“ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება სოფლის მეურნეობის სფეროში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის სტრატეგია ითვალისწინებს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას. მდგრადი განვითარების ეროვნული კომისია 1996 წელს შეიქმნა, თუმცა მას შემდეგ ძალზე მცირეოდენი წინსვლა შეინიშნება.

5. ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, საბაზრო და მარეგულირებელი რეფორმა

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი ვაჭრობა სტაბილურად იზრდება. ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია (2006 წელს საქართველოს საერთო ვაჭრობაში ევროკავშირის წილი 29.2%-ია). 2007 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივმა ვაჭრობამ 1.563 მილიარდი ევრო შეადგინა; ევროკავშირში ექსპორტი 1.081 მილიარდი ევრო იყო, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტმა 482 მილიონი ევრო

შეადგინა. საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი ძალზე მწირია და მისი შემდგომი დივერსიფიცირებაა საჭირო. ევროკავშირის „შელავათების ზოგადი სიტემა“ საქართველოს სერიოზულ შეღავათებს ანიჭებს კარგი მმართველობის და მდგრადი განვითარებისათვის. ამ სისტემას ე. წ. „შელავათების ზოგადი სიტემა+“ ეწოდება. იმისათვის, რომ საქართველომ ამ სისტემით სარგებლობა 2009 წლის იანვრის შემდეგაც შეძლოს, უნდა მოხდეს გაეროს „ანტიკორუფციული კონვენციის“ და „კარტახენას ოქმის“ რატიფიცირება და იმ 27 საერთაშორისო კონვენციის ეფექტურად განახორციელება, რომლებიც „შელავათების ზოგადი სიტემის“ დებულებაშია ჩამოთვლილი.

ევროკომისია აწარმოებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შესაძლო შეთანხმების ტექნიკურ – ეკონომიკური დასაბუთების კვლევას.

უმნიშვნელო წინსვლა აღინიშნება მარეგულირებელი სფეროს დაახლოებისა ევროკავშირის ვაჭრობისა და ინვესტირების სფეროს კანონმდებლობასთან, რაც „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით“ და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმითაა“ გათვალისწინებული. ეს კანონმდებლობა აუცილებელია საქართველოში წარმოებული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე უკეთ შესაღწევად. მოლაპარაკებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის – ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ჩათვლით – გეოგრაფიული ინდიკატორების დაცვის ორმხრივი შეთანხმების შესახებ, რომელიც 2007 წელს დაიწყო, დღესაც მიმდინარეობს.

მიღწეულია წარმატება საბაჟო სფეროში. ახალი საბაჟო კოდექსი 2007 წლის იანვარში შევიდა ძალაში. მისი მიზანია საბაჟო კანონმდებლობის და პროცედურების შესაბამისობაში მოყვანა ისეთ ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტებთან, როგორცაა, მაგალითად, კიოტოს განახლებული კონვენცია. კოდექსით გათვალისწინებულია საბაჟო რეჟიმების რიცხვის შემცირება; მასში მოცემულია, აგრეთვე, ზოგადი დებულებები თავისუფალი ზონებისა და თავისუფალი საწყობების შესახებ. კოდექსის სტრუქტურა, პირობები და პრინციპები ზოგადად შეესაბამება ევროპის თანამეგობრობის საბაჟო კონვენციას და კიოტოს განახლებულ კონვენციას „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზების შესახებ.“ თუმცა, საბაჟო კოდექსის განხორციელებისათვის აუცილებელი კანონქვემდებარე აქტების არარსებობა აფერხებს მის შესრულებას და საბაჟო წესებს ნაკლებად გამჭვირვალეს ხდის ეკონომიკური აგენტებისათვის. ყურადღება უნდა მიექცეს ფასების დადგენის წესს და განბაჟების შემდგომ კონტროლს.

შემოსავლების სახელმწიფო სამსახური 2007 წლის აპრილში, საგადასახადო ადმინისტრაციის, საბაჟო ადმინისტრაციის და ფინანსური პოლიციის შერწყმის შედეგად შეიქმნა. მისი შექმნის მიზანი ამ სამსახურების უკეთ კოორდინირება იყო. საჭიროა მონიტორინგის გაწევა იმის დასადგენად, თუ რა გავლენა მოახდინა რეორგანიზაციამ საბაჟოს საქმიანობაზე.

შემოსავლების სახელმწიფო სამსახური განაგრძობს საბაჟო დეკლარაციების დამუშავების სისტემის (DPS) განახლებას „ASYCUDA++ DPS“ სისტემიდან „ASYCUDA World DPS“ სისტემაზე გადასასვლელად. 2008 წლის 1 იანვრიდან დაიწერა რისკების მართვის სისტემა, რომელიც შერჩევით პრინციპზეა დამყარებული. სატრანზიტო მოდულის განხორციელება ეროვნულ დონეზე 2007 წლის ოქტომბერში დაიწყო. უზრუნველყოფილი იყო ინტეროპერატიულობა 27 საბაჟოსთან „ASYCUDA++ DPS“ სისტემის საშუალებით და ერთ საბაჟოსთან „ASYCUDA World DPS“ სისტემის საშუალებით. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეფორმის ხელშეწყობის დროებითი უწყებათაშორისი კომისია ახდენს 2008–2012 წლებისათვის საქართველოს საზღვრის მართვის სტრატეგიის კოორდინირებას. სტრატეგია მოიცავს, აგრეთვე, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების განსაზღვრას (SOP) საბაჟო ოფიცრებისათვის და საზღვარზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობას.

საქონლის თავისუფალ ბრუნვასა და ტექნიკურ რეგულირებასთან დაკავშირებით, საქართველომ შეძლო განხორციელებინა ტექნიკური რეგულირების სისტემის რეფორმირება, რის შედეგადაც დაიწერა ნებაყოფლობითი სტანდარტები, შესაბამისობის დადგენის პროცედურები და სავალდებულო ტექნიკური რეგულაციები. რამოდენიმე შესწორება შევიდა კანონებში საქონლის და მომსახურების სერტიფიცირების შესახებ, საზომი ერთეულების სიზუსტის და სტანდარტიზაციის შესახებ. ეს ცვლილებები გახდა საკანონმდებლო საფუძველი ნებაყოფლობითი სტანდარტების და მესამე ქვეყნების ტექნიკური რეგულაციების შემოღებისათვის. განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმა ორი დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნის გზით, ესენია: სტანდარტების, ტექნიკური რეგულირების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო და აკრედიტაციის გაერთიანებული ეროვნული ცენტრი, რომლებიც შეიქმნა ყოფილი სტანდარტიზაციის სამსახურის – საქსტანდარტის–საფუძველზე. სტანდარტების, ტექნიკური რეგულირების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის ხელმისაწვდომი გახდა სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა. თუმცა, ჯერ კიდევ დიდი მოცულობის სამუშაოა ჩასატარებელი საწარმოო და კვლევითი ორგანიზაციებისათვის ხარისხის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.

სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით 2005 წელს საქართველომ მიიღო კანონი სურსათის უსაფრთხოების და ხარისხის შესახებ, 2006 წელს შეიქმნა სასურსათო უსაფრთხოების, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახური. თუმცა, 2007 წელს გადაწყდა, რომ რეფორმის ისეთი საკვანძო სფეროები, როგორცაა სურსათის უსაფრთხოების სრული კონტროლი, 2009 წლამდე გადადებულიყო. ამის მიზეზად დასახელებული იყო თვით ამ სამსახურის ძირითადი შესაძლებლობები და ორგანიზაციების მიერ ამ წესების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები. საქართველო მიუერთდა „მცენარეთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციას.“ საქართველოს სურს, დაიწყოს თევზის და ზღვის პროდუქტების ექსპორტირება ევროკავშირის ბაზარზე და ამ მიზნით

დაიწყო მუშაობა ევროკომისიასთან. ღორის აფრიკული ციების ეპიდემიის შემდეგ, საქართველომ შექმნა ინსტიტუციური სტრუქტურა და შეიმუშავა ღონისძიებების ნუსხა ამ დაავადების აღმოსაფხვრელად. საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის მიერ ორგანიზებული შეხვედრებში პროგრამის „უკეთ მოვემზადოთ უსაფრთხო საკვების უზრუნველყოფისათვის“ ფარგლებში.

საქართველო აგრძელებს ძალისხმევას **ბიზნეს გარემოს** გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით კორუფციასთან ბრძოლის და სამართლებრივი ჩარჩოს სტაბილურობის თვალსაზრისით. რეფორმებმა საგადასახადო, საბაჟო, ინსპექტირების, ნებართვების, სერტიფიცირების, აკრედიტების და სტანდარტიზების სფეროებში, გააძლიერა ბიზნეს გარემო. საერთაშორისო კვლევების მიხედვით საქართველოს კარგი მაჩვენებელი აქვს ბიზნესის იოლად წარმოების თვალსაზრისით. თუმცა, ახალი კანონმდებლობის დანერგვა ჯერ კიდევ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ჯანსაღი ბიზნეს გარემოს მისაღწევად ბევრია გასაკეთებელი გამჭვირვალების, კანონის დაცვის, საკუთრების უფლების დაცვის, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის, კანონის გამოყენების და სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით.

მხოლოდ მცირეოდენი წინსვლა შეიმჩნევა **დაფუძნების და კომპანიების შესახებ კანონთან** დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონში 2007 წლის მარტში შესული შესწორებების შედეგად შემცირდა ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურების რაოდენობა და ვადა, კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოპოვების პროცედურა და მეწილეთა უფლებების დაცვის მექანიზმი სუსტია.

მომსახურების სფეროში ყველაზე საგრძნობ წარმატებას საქართველომ ფინანსური მომსახურების სექტორში მიაღწია. ბანკების რეგულირების და ზედამხედველობის ფუნქციას ეროვნული ბანკი ახორციელებს. თავისი საზედამხედველო პოლიტიკა ბანკს განმარტებული აქვს დოკუმენტში „საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006–2009 წლებისათვის.“ ამ სტრატეგიის მიხედვით, საშუალოვადიან პერსპექტივაში ძირითადი ყურადღება დაეთმობა კომერციულ ბანკებში რისკების შეფასების და მართვის სისტემას, შიდა კონსტროლის და აუდიტის მექანიზმებს და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, აგრეთვე, კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესებას. საქართველოს დადებული აქვს ხელშეკრულება რამოდენიმე ქვეყნის ბანკებზე ზედამხედველობის ორგანოებთან საბანკო საქმეში ინფორმაციის უფრო ინტენსიური გაცვლის შესახებ. მიუხედავად მცდელობისა, გაუმჯობესდეს სადაზღვევო კომპანიებსა და ფასიანი ქაღალდების საბროკერო ფირმებზე ზედამხედველობა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, პირველ რიგში საჭიროა თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა.

საგრძნობი წარმატებაა მიღწეული **საგადასახადო** სფეროში. საგადასახადო კოდექსში და მეწარმეთა შესახებ კანონში შესულმა ცვლილებებმა, მნიშვნელოვნად

შეამცირა დრო, რომელიც საგადასახადო უწყებებში რეგისტრაციას სჭირდება. საგადასახადო ინპექციაში შემოღებულ იქნა ე.წ. „ერთი ფანჯრის პრინციპი.“ ბოლო წლების განმავლობაში გადასახადების გადახდის მაჩვენებელი გაიზარდა და 2006 წელს მშპ-ს 21.8% –ს მიაღწია; მოსალოდნელია, რომ 2007 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება. გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მომზადდა კომუნიკაციის სტრატეგია. საგადასახადო ინსპექციები საბაჟო ადმინისტრაციასა და ფინანსურ პოლიციას შეუერთდა; ამის შედეგად, 2007 წლის აპრილში შეიქმნა სახელმწიფო შემოსავლების სამსახური. მოხდა სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული ერთეულების რეფორმირებაც. თუმცა, ჯერ კიდევ დასახვეწია სამსახურის საქმიანობა, განსაკუთრებით დავალებების და პასუხისმგებლობის სწორი გადანაწილების თვალსაზრისით. ადამიანური რესურსების მართვის სფერო ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში დაფუძნებული კომპანიების მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება, რაც ახალმა, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ კანონმდებლობამ დაამკვიდრა, არ შეესაბამება ევროკავშირის და საერთაშორისო პრინციპებს.

წინსვლა არ აღინიშნება კონკურენციის პოლიტიკის სფეროში. კონკურენციის შესახებ კანონის მოქმედების არეალი შეზღუდულია და ის არ არეგულირებს მომხმარებლისათვის საზიანო შეთანხმებებს, გარიგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ბაზარზე უპირატესი მდგომარეობით სარგებლობის და კომპანიათა შერწყმის შემთხვევებს. გასაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობას, მისი ინსტიტუციური ძალაუფლების და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. ეს სააგენტო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულია და მას მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია აკისრია. არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც მოხდებოდა სააგენტოს გადაწყვეტილებებს აღსრულება.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველომ რამოდენიმე საკანონმდებლო ნაბიჯი გადადგა. ეს ნაბიჯები ნაკარნახევი იყო „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში“ განსაზღვრული ვალდებულებებით და „ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების“ (TRIPS) მოთხოვნებით, აგრეთვე იმით, რომ 2005 წელს საქართველო შეუერთდა ბუდაპეშტის ხელშეკრულებას „მიკროორგანიზმების საერთაშორისო ცნობის შესახებ საპატენტო პროცედურათა მიზნებისათვის.“ რამოდენიმე შესწორება შევიდა კონონებში საავტორო უფლებების და სავაჭრო ნიშნების შესახებ, ასევე ინტელექტუალური საკუთრების მომიჯნავე უფლებების შესახებ. საქართველოს მიენიჭა უფლება შეუერთდეს „მცენარეთა ახალი სახეობების დაცვის საერთაშორისო კავშირის“ (UPOV) კონვენციას მცენარეთა ახალი სახეობების შესახებ, თუმცა ის ჯერ კიდევ საბოლოო დასტურს ელოდება. ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობის განხორციელება და მისი შეფერხებით აღსრულება საკმაოდ დიდ შემფოთებას იწვევს, რადგან არალეგალური საქონლის ბრუნვის მასშტაბი საქართველოს ბაზარზე საკმაოდ

დიდია. შესაბამის უწყებებს შორის საქმიანობა ცუდად არის კოორდინირებული. საჭიროა უფრო დიდი ძალისხმევა იმისათვის, რომ, ერთის მხრივ, ეფექტურად განხორციელდეს კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, გაიზარდოს ინტელექტუალური საკუთრების მქონე ადამიანთა გათვითცნობიერებულობა და კანონის აღმასრულებელი სტრუქტურების (საბაჟო, მოსამართლეები ა. შ.) მომზადება ამ საკითხებში.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმირება მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით ხორციელდება; მისი მიზანია კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. შესყიდვების სახელმწიფო სააგენტო წამყვანი უწყებაა ამ სფეროში. „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებაში“ საქართველოს დამკვირვებლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ჯერ კიდევ არ არის მიღებული ახალი კანონი **სტატისტიკის** შესახებ. ამ კანონის ძირითადი მიზანი უნდა იყოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დამოუკიდებლობის გაძლიერება. დღეისათვის კანონის გადამუშავებული ვარიანტი განსახილველად პრეზიდენტის ადმინისტრაციაშია წარდგენილი. სტატისტიკის დეპარტამენტის მართვა და ადმინისტრირების უნარი, სერიოზული დაფიქრების საბაზს იძლევა, რადგან 2007 წელ დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა 540–დან 189–მდე შემცირდა. ამით საფრთხე შეექმნა ეროვნული სტატისტიკური სისტემის მდგრადობას.

კონონპროექტი **აუდიტისა და საბუღალტრო ანგარიშგების** შესახებ პარლამენტშია წარდგენილი დასამტკიცებლად. კონონპროექტში აღწერილია საბუღალტრო და საფინანსო ანგარიშგების მოთხოვნები ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც ვალდებული იქნებიან გამოიყენონ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები. კონონპროექტი სრულიად ახალ მარეგულირებელ ჩარჩოს აწესებს საბუღალტრო და აუდიტის სფეროში, თუმცა, სავალდებულო აუდიტის და კონტროლის მექანიზმის თვალსაზრისით, ის ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება.

სახელმწიფო ფინანსების სფეროში წარმატებაა მიღწეული ხაზინის რეფორმირების თვალსაზრისით. კონონპროექტი გარე სახელმწიფო აუდიტის შესახებ პარლამენტშია შეტანილი.

კომპანიების მიმართ პოლიტიკასთან მიმართებაში, პრეზიდენტის მიერ 2006 წელს ინიცირებული დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, 2007 წლის ივნისში დაიწყო. „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების 2007 წლის დასაქმების პროგრამა“ გულისხმობს სესხების გაცემას იმ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებიც ტურიზმისა და ახალი სამუშაო ადგილების სფეროში იმუშავებენ. პროგრამის ძირითადი მიზანია მცირე, განსაკუთრებით, ოჯახური ბიზნესის ხელშეწყობა ტურიზმის სექტორში და საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. საქართველოს

სახელმწიფო საიანვესტიციო სააგენტოში დაარსდა საინფორმაციო ცენტრი ბიზნესისათვის, რომლის მთავარი ფუნქციაა ეკონომიკური ოპერატორების ინფორმირება და მათი გათვითცნობიერებულობის ზრდა, ასევე, კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა.

6. ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, საინფორმაციო საზოგადოება, კვლევა და განვითარება

ტრანსპორტის სექტორზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იყო პასუხისმგებელი, ხოლო მისი რეგულირება ხორციელდებოდა „საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი სახელმწიფო კომისიის მიერ.“ 2007 წლის აპრილში, ტრანსპორტის სექტორის მართვის და რეგულირების შესახებ კანონის მიღების შემდეგ (2007 წლის მარტი), მოხდა კომისიის რეორგანიზება და ის ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთ უწყებად – ტრანსპორტის ერთიან ადმინისტრაციად – გადაკეთდა. ადმინისტრაცია პასუხისმგებელია სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სექტორზე. ერთიანი ადმინისტრაცია შეიმუშავებს და ამტკიცებს უსაფრთხოების ტექნიკურ წესებს ტრანსპორტის ოპერატორებისათვის, ახორციელებს ამ წესების შესრულების ზედამხედველობას და გასცემს ლიცენზიებს ტრანსპორტის ოპერატორებისათვის. საგზაო სექტორში უსაფრთხოების დაცვის საკითხები შემოფოტების საგანია. რკინიგზის სექტორში მიმდინარეობს ეფექტური რესტრუქტურისა და არსებული ოპერატორის კომერციალიზაცია. შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება მიეცა, დამოუკიდებლად მართოს სატვირთო პოლიტიკა. უფრო მეტი ტვირთტანაკადის მოზიდვის მიზნით, 2007 წელს შემოღებულ იქნა გამარტივებული სატარიფო ბადე.

2006 წლის ივნისში, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის გაუქმების შემდეგ, მისი ფუნქციები გადაეცა ახლადშექმნილ „ტრანსპორტის რეგულირების საქართველოს სახელმწიფო კომისიას“, შემდეგ კი ზემოხსენებულ ტრანსპორტის ერთიან ადმინისტრაციას. ფრენის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა რეგულირების და განსაკუთრებით უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის გაძლიერება. კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველო აქტიურად ახორციელებს საჰაერო ტრანსპორტის ლიბერალიზაციას. საქართველო გამოვიდა წინადადებით, შეცვლილიყო საავიაციო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ კანონი და მომხდარიყო უცხოური ინვეტიციების ქართულ ავიაკომპანიებში მოზიდვის ხელშეწყობა. განახლდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ხოლო 2007 წლის თებერვალში ოფიციალურად გაიხსნა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

საზღვაო სექტორში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. დასახვეწია საზღვაო პორტების და საზღვაო ოპერატორების მუშაობა. 2007 წელს მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო კომპანიები, რათა მათ გამოეხატათ ინტერესი ფოთის საზღვაო

პორტის განვითარებისათვის კონცესიის მიღებაში და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებაში. საქართველო ცდილობს არსებული საბორნე მიმოსვლის გააქტიურებას, აგრეთვე, ახალი კავშირების დამყარებას შავი ზღვის პორტებსა და სხვა ქვეყნებთან. იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერცერთხელ ვერ შეძლო სახელმწიფო კონტროლის დაწესება პორტზე და ფლოტზე, საქართველოს ფლოტი მოხვდა პორტის სახელმწიფო კონტროლის შესახებ პარიზის ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმის შავ სიაში. საზღვაო უსაფრთხოება კვლავ სერიოზული შეშფოთების საგნად რჩება.

საქართველო ენერჯის იმპორტიორი ქვეყანაა, რომელიც განაგრძობს ენერგოუსაფრთხოების განვითარებას. პარლამენტმა მიიღო სტრატეგიული დოკუმენტი სახელწოდებით „სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ენერგეტიკის სფეროში.“ მისი მთავარი მიზანია, დააკმაყოფილოს ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა, მათ შორის, ქვეყნის ჰიდროელექტრო-პოტენციალზე დაყრდნობით. სტრატეგია ითვალისწინებს, აგრეთვე, ელექტრობაზრის თანდათანობით გახსნას, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობას და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას.

საქართველო ევროკავშირის ბაზარზე კასპიის ზღვის ენერგორესურსების ტრასპორტირების ერთ-ერთი საკვანძო სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბდა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (თურქეთი) ნავთობსადენის სრული ამოქმედება და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (თურქეთი) გაზსადენში პირველი გაზის გაშვება საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია. საქართველოს, პოლონეთს, ლიტვას, აზერბაიჯანს და უკრაინას შორის მოხდა შეთანხმება, იმის თაობაზე, რომ გაგრძელდეს ოდესა-ბროდის ნავთობსადენი გდანსკამდე (პოლონეთი). ეს შეთანხმება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კასპიის ენერგორესურსების მიწოდების ზრდას. აზერბაიჯანიდან გაზის იმპორტირებამ მცირეოდენი დივერსიფიკაციის შესაძლებლობა მისცა საქართველოს, რომელიც მთლიანადაა დამოკიდებული რუსეთიდან გაზის მოწოდებაზე. შესწავლილ იქნა მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის შესაძლებლობები. საქართველომ აქტიურად ითანამშრომლა ევროკომისიის მიერ მომზადებული ტრანსკასპიური/შავი ზღვის ენერგეტიკული დერეფნის ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში. საქართველო, ყაზახ ინვესტორებთან ერთად, აპირებს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას ბათუმის პორტში. ზემოხსენებული მოვლენები მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისათვის, განსაკუთრებით ისეთ პროექტებთან მიმართებაში, როგორცაა გაზსადენი „ნაბუკო“ –(თურქეთიდან ავსტრიისაკენ).

საქართველო განაგრძობს ევროკავშირი-შავი ზღვის/კასპიის ენერგეტიკული თანამშრომლობის „ბაქოს ინიციატივაში“ მონაწილეობას. ამ ინიციატივის ფარგლებში, მინისტრები შეთანხმდნენ საგზაო რუკაზე, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრის კონვერგენციას, უსაფრთხო ენერგომიწოდებას, მდგრად განვითარებას და რეგიონულ თანამშრომლობას.

საქართველომ გააუქმა ექსპორტის და იმპორტის ლიცენზია ენერგეტიკის სექტორში. ცვლილებები იქნა შეტანილი ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის შესახებ წესებში, რითაც პრიორიტეტი მიენიჭა მცირემასშტაბიან ელექტროსადგურებს. ცვლილებები იქნა შეტანილი კანონებში ელექტროენერჯის და გაზის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ენერგეტიკის განახლებადი წყაროების, მათ შორის, ჰიდროსადგურების გამოყენების წახალისებას. შემოდებულ იქნა ანაგარიშწორების ახალი წესები. მოხდა ჰიდროსადგურების და სადისტრიბუციო კომპანიების პრივატიზება. გაგრძელდა ელექტროსადგურების (მათ შორის ჰიდრო) რეაბილიტაცია და ახალი სადგურების და ქსელების მშენებლობა. მოხდა შეთანხმება თურქეთთან და აზერბაიჯანთან ელექტროკავშირების გაძლიერების შესახებ. ამ კონტექსტში, საქართველომ და თურქეთმა დაიწყეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ქვეყნებს შორის ელექტროკავშირების დამყარების შესაძლებლობის შესახებ. გაგრძელდა საქართველოს და სომხეთის დამაკავშირებელი ხაზის მშენებლობა. საქართველომ განაცხადი შეიტანა დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად ენერგეტიკულ თანამეგობრობაში, რომლის მიზანია შიდა ენერგობაზრის გაფართოება. ენერგეტიკის სახელმწიფო მარეგულირებელმა კომისიამ გაზარდა გაზის საფასური, თუმცა ფასთა სხვაობა ენერგეტიკის სფეროში კვლავ საგრძნობია. საფასურის გაზრდას საფუძვლად დაედო რუსეთიდან იმპორტირებული გაზის ფასის მკვეთრი ზრდა. საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში დამონტაჟდა ელექტრომრიცველები, რამაც გააადვილა ელექტროენერჯის საფასურის ამოღება და გაზარდა მისი ამოღების მაჩვენებელი. საჭიროა უფრო დიდი ძალისხმევა ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ენერგეტიკის განახლებადი წყაროების გამოყენების წახალისებლად.

ძირითადი **გარემოსდაცვითი** საკითხები შეეხება კლიმატის ცვლილებას, ჰაერის ხარისხს, წყლის ხარისხს, ნარჩენების მართვას, მიწის საკითხებს, სანაპირო ზოლის და ზღვის დაბინძურებას, ქიმიკატებს და ბუნების დაცვას. მომზადების სტადიაშია მეორე ეროვნული კომუნიკაცია, სათბურის ეფექტით გამოწვეული გაზის აღრიცხვა და ადაპტაციის ზომების შემუშავება. საცდელი პროექტის განხორციელება მიმდინარეობს ონის რაიონში. მომზადდა და გაეროს დონეზე დარეგისტრირდა პროექტი სახელწოდებით „სუფთა განვითარების მექანიზმი“. საქართველო მონაწილეობას იღებს „დუნაი-შავი ზღვის სამუშაო ჯგუფში“ (DABLAS). DABLAS-ის 50 პრიორიტეტული ინვესტიციებიდან ორი საქართველოს შეეხება. საქართველო მონაწილეობს, აგრეთვე, იმ საქმიანობაში, რომელიც ევროკავშირის „წყლის ინიციატივით“ არის გათვალისწინებული. ამ ინიციატივის ფარგლებში აუცილებელია წყლის ეროვნული პოლიტიკის შესახებ დიალოგის წარმოება.

მეორე სახელმწიფო გარემოსდაცვითი პროგრამა, რომელიც ხუთ წელზე იქნება გათვლილი, მომზადების პროცესშია. მზადდება, აგრეთვე, პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი ტყითსარგებლობის შესახებ. დაგეგმილია წყლის მართვის რეფორმირება. მიმდინარეობს მუშაობა არსებული სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელებაზე, თუმცა საჭიროა მუდმივი ყურადღების გამოჩენა ამ სფეროში. ზოგადად, შემუშავებულია ჩარჩო კანონმდებლობა და კონკრეტული სექტორის

მარეგულირებელი კანონმდებლობა, თუმცა მას შემდგომი დახვეწა სჭირდება, განსაკუთრებით გარემოზე ზეგავლენის შეფასების და კანონქვემდებარე აქტების შემუშავების საკითხებში. კანონმდებლობის ბოლო ვერსიაში შევიდა ცვლილებები გარემოს დაცვის შესახებ ჩარჩო კანონში და კანონში ჰაერის შესახებ, ასევე გარემოზე ზეგავლენის ნებართვის შესახებ ახალ კანონში. მზადდება კანონმდებლობა წყლის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციული სტრუქტურები ნაწილობრივ შექმნილია, აუცილებელია ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის კოორდინირების ჩათვლით. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მონიტორინგს და კანონის აღსრულებას. საქართველომ მოამზადა რამოდენიმე მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, თუმცა საჯაროდ არ გამოაქვეყნა ისინი. უფრო მეტიც, გადაწყდა, რომ მომავალში ასეთი ანგარიშები მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ მომზადდება. შეზღუდულია ინფორმაციის მოპოვება გარემოს დაცვის სფეროში; ასევე შეზღუდულია მოსახლეობის მონაწილეობა გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახელმწიფო პროექტები არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.

საქართველომ მოახდინა შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული კონვენციების და ოქმების რატიფიცირება, გარდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის ოქმისა სტრატეგიული გარმოსდაცვითი შეფასების შესახებ.“ საქართველოს ხელი არ მოუწერია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენციაზე „ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადების და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ და კონვენციაზე „საწარმოო კატასტროფების ტრანსსასაზღვრო შედეგების შესახებ.“ საქართველო მონაწილეობს შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის საერთაშორისო კომისიის მუშაობაში. ევროკომისიასა და საქართველოს შორის გააქტიურდა თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის საკითხებზე ისეთ სფეროებში, როგორცაა კლიმატის ცვლილება, წყალი, მდგარდი განვითარება და მთების დაცვა, ევრაზიული სტეპების ნიადაგის მდგრადი და ინტეგრირებული გამოყენება, ვადაგასული პესტიციდების, ქიმიკატების კლასიფიკაცია და განმარტება, ასევე შავი ზღვის გარემოსდაცვითი თანამშრომლობა. საქართველო (სომხეთთან, აზერბაიჯანთან და ევროკომისიასთან ერთად) არის თანადაამფუძნებელი და მასპინძელი კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა (REC). ცენტრი, რომლის შტაბბინა თბილისში მდებარეობს, ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვადასხვა მონაწილე სტრუქტურასა და მხარეს შორის, მეზობელი ქვეყნების ჩათვლით. საქართველომ ხელი მოაწერა ცენტრის ახალ წესდებას.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჯერ არ წარმოუდგენია **საინფორმაციო საზოგადოების** განვითარების ადექვატური სტრატეგია. ამის გამო აღინიშნება გარკვეული ჩავარდნები ისეთ სფეროში, როგორცაა ელექტრონული ვაჭრობა.

ელექტრონულ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი მარეგულირებელი უწყება – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია – ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების პროცესშია. 2007 წლის ივნისიდან გრძელდება ფასებთან დაკავშირებული დავა კომისიას, სამინისტროს და ელექტრონული ხაზის ოპერატორს „გაერთიანებულ ტელეკომს“ შორის ინტერნეტით სარგებლობის მაღალი საფასურის დაწესების გამო მცირე მოხმარების (დაახლოებით 4%) პირობებში. ამავდროულად, „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ მრავალსიხშირიანი ინტერნეტსერვისი შესთავაზა მომხმარებელს. ინტერნეტის ამ სახეობის პოპულარიზება შესაძლებელი გახდება WIMAX უკაბელო ინტერნეტისათვის სამი ლიცენზიის გაცემის საშუალებით. სამი ლიცენზია გაიცა, ასევე, მესამე თაობის მობილური ტელეფონების მომსახურებისათვის.

სახელმწიფო არხებთან ერთად, აუდიოვიზუალურ სფეროში დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი ტელე და რადიო არხია. თუმცა, საქართველოს აუდიოვიზუალური სფეროს კანონმდებლობა მედიის რეგულირების სფეროში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს. საქართველოს ჯერ არ მოუხდენია ევროპის საბჭოს „ ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ კონვენციის“ რატიფიცირება. სამაუწყებლო კომისიის დღევანდელი კანონმდებლობა და პრაქტიკა არ იძლევა მომხმარებელთა და არასრულწლოვანთა დაცვის ადეკვატური დაცვის შესაძლებლობას. ფილმები და პროგრამები, რომლებიც არ არის ბავშვებისათვის შესაფერისი, ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიციეს.

საქართველოში სამეცნიერო კვლევასა და ინოვაციებზე მიმართული საქმიანობა საკმაოდ მწირია, თუმცა არსებობს აშკარა ნება ტექნოლოგიური კვლევისა და ინოვაციების დონის ამაღლებისა. განათლების და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს მეცნიერების ეროვნულ ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით, ამზადებს სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციების ახალ ეროვნულ სტრატეგიას, რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევის მოდერნიზება. მზადდება რეკომენდაციათა ნუსხა საქართველოს კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შესატანად, რომლებიც სამეცნიერო კვლევის სფეროს შეეხება. გააქტიურდა თანამშრომლობა ევროპულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ევროპული კვლევების არეალში და ევროპის თანამეგობრობის მიერ დაფინანსებული კვლევისა და განვითარების ჩარჩო პროგრამაში საქართველოს უკეთ ინტეგრირების მიზნით.

7. ადამიანებს შორის კონტაქტები, განათლება და ჯანდაცვა

2007 წლის მაისში (2005 წელს გაცხადებული რეფორმის პრინციპების შესაბამისად) პროფესიული მომზადების და განათლების რეფორმის ახალი საკანონმდებლო პაკეტის მიღების შედეგად, ამ სფეროში საგრძნობი წინსვლა აღინიშნება. ძირითადი რეფორმები გატარდა მართვის და დაფინანსების, საგანმანათლებლო ინსტიტუტების ლიცენზირების და ხარისხის

უზრუნველყოფის სფეროებში. ბოლონის პროცესის შესაბამისად, უმაღლესი განათლების ინსტიტუტების აკრედიტაცია და კურიკულუმის მოდერნიზება განხორციელდა ახლადშექმნილი სახელმწიფო სტრუქტურის – აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის – საშუალებით. მიმდინარეობს ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ დანერგვის და ევროპული სტანდარტების შესაბამისი ეროვნული საკვალიფიკაციო სისტემის შემოღების მიზნით. პროგრამა „ტემპუსი“ ძალზე აქტიურად ეხმარება უნივერსიტეტებს უმაღლესი განათლების რეფორმირებაში ბოლონის პრინციპების შესაბამისად, კერძოდ, კრედიტების ტრანსფერის სისტემის განვითარებაში, სწავლის შედეგების შეფასებასა და თანამედროვე კურიკულუმის და სწავლების მეთოდის დახვეწაში. სტუდენტთა მონაწილეობით პროგრამებში „ერაზმუს მუნდუსი“ და „ერაზმუს მუნდუსის საგარეო თანამშრომლობის ფანჯარა,“ რომელიც აკადემიურ თანამშრომლობას უწყობს ხელს, შესაძლებელი გახდა უფრო მეტი სტუდენტის გასვლა ევროკავშირის ქვეყნებში. უფრო მეტი ღონისძიება გასატარებელი ხარისხიანი განათლების და მომზადების მხარდასაჭერად; საჭიროა, ასევე, პროფესიულ განათლებასა და მომზადებაში უმცირესობებისათვის, ეკონომიურად დაუცველი ადამიანებისა და ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ყურადღება უნდა დაეთმოს, აგრეთვე, „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ განვითარებას და არაფორმალური განათლების ცნობის საკითხებს.

2006 წელთან შედარებით, გაიზარდა **ახალგაზრდობის** მონაწილეობა პროგრამის „აქტიური ახალგაზრდობა“ შესაბამის ღონისძიებებში. პროგრამის ფარგლებში გაიზარდა ახალგაზრდული გაცვლების რიცხვი და ადგილობრივმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტ უცხოელ ახალგაზრდას უმასპინძლეს. მაგალითისათვის, საქართველოს ახალგაზრდობა ჩართული იყო ფართომასშტაბიან პროექტში კონფლიქტების მართვის საკითხებზე კომბინირებული ტრენინგის და ახალგაზრდული გაცვლების პროექტში, სადაც მონაწილეობდნენ პარტნიორები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან.

კულტურის სფეროში საქართველო ერთგული რჩება სურვილისა, მოახდინოს 2005 წლის იუნესკოს „კულტურის სიმბოლოების დაცვის და ხელშეწყობის კონვენციის რატიფიკაცია.“

2007 წელს გაგრძელდა **ჯანდაცვის** რეფორმა. მის გასააქტიურებლად საქართველომ შეიმუშავა პროგრამები ისეთ სფეროებში, როგორცაა რეფორმების მხარდაჭერა, დაფინანსება, სილატაკის ზღვარზე მცხოვრებთა სამედიცინო დახმარება, სტაციონარული დახმარება, სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, უფრო ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და საავადმყოფოების დაგეგმვა. საქართველომ მიიღო სახელმწიფო ჯანდაცვის შესახებ კანონი. უფრო მეტი ყურადღება დაეთმოდა ყველასათვის თანაბრად (ღარიბთა ჩათვლით) ხელმისაწვდომი პირველადი ჯანდაცვის პაკეტის შემუშავებას, ჯანდაცვის მომსახურების სექტორში პრივატიზების პროცესის წარმართვას ყველას

ინტერესების გათვალისწინებით (დაბალანსებულად) და ჯანდაცვის სექტორის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე ინფორმაციის და ცოდნის გამავრცელებელ უწყებებთან ქსელის მუშაობაში. საქართველომ მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტის „ტაიექსის“ (TAIEX) მხარდაჭერით გამართულ სემინარში ჯანდაცვის საკითხებზე, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკომისიის, „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ და „ჯანდაცვის ევროპული ობსერვატორიის“ მიერ. ისეთი გადამდები დაავადება, როგორცაა ტუბერკულოზი, საქართველოსათვის ჯერ კიდევ მწვავე საკითხად რჩება.

8. ფინანსური თანამშრომლობა– 2007 წლის ძირითადი მოვლენები და ციფრები

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და პარტნიორობის ინსტრუმენტის“ ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკომისიის დახმარება თვისობრივად შეიცვალა და უფრო მეტად სტრატეგიული, პოლიტიკაზე ორიენტირებული გახდა, ამასთან, ფინანსური დახმარების საერთო ოდენობაც გაიზარდა. თანამშრომლობის ახალი ინსტრუმენტების შემოღება – მაგალითად „საჯარო დაწესებულებების დაძმობილების პროგრამა“ და „ტაიექსი“ – ზრდის ევროკავშირის უნარს, გაუწიოს საექსპერტო დახმარება და უზრუნველყოს ტექნიკური თანამშრომლობა მარეგულირებელ სფეროებში.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ, ევროკავშირის დახმარება უფრო მეტად სამოქმედო გეგმაში მითითებული პოლიტიკური მიზნების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. ეროვნული ინდიკატიური პროგრამის ფარგლებში საქართველოსათვის 2007–2010 წლებში 120.4 მილიონი ევრო გამოიყო. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 4 პრიორიტეტული სფერო, ესენია: დემოკრატიული განვითარება, კანონის უზენაესობა და მმართველობა (სახელმწიფო ფინანსების და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების ჩათვლით), ეკონომიკური განვითარება და სამოქმედო გეგმის განხორციელება (ვაჭრობის ხელშეწყობა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა და მარეგულირებელი რეფორმა, განათლება და ადამიანებს შორის კონტაქტები); სიღარიბის შემცირება და სოციალური რეფორმები (რეფორმები ჯანდაცვისა და სოციალურის დაცვის სფეროებში, სასოფლო და რეგიონული განვითარება); და საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობა.

2007 წლის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ყოველწლიური სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, საქართველოსათვის 24 მილიონი ევრო გამოიყო. 2007 წლის პროგრამაში ძირითადი ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო ფინანსების რეფორმირების ხელშეწყობას, „საჯარო დაწესებულებების

დამმობილების პროგრამას“, რომელიც სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს „სამოქმედო გეგმის“ განხორციელებას, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეკონომიკური რეაბილიტაციას და ნდობის აღდგენას.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ფარგლებში საქართველო თანამშრომლობით როგორც რეგიონული პროგრამების, ისე მრავალ ქვეყანაზე გათვლილი პროგრამების ფარგლებში; საქართველოზე ვრცელდება, ასევე, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ საზღვრისპირა თანამშრომლობის კომპონენტი.

წყარო:

http://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/political_framework/enp_georgia_news/index_en.htm